ფრე ერევანში

ერევანი. რესპუბლიკური სტადიონი. 20 აპრილი.

“არარატი” (ერევანი) - “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:1).

“არარატი”: მათევოსიანი, სეროპიანი, ბეგლარიანი, კოვალენკო, ბაბაიანი, დალაქიანი, აკოფიანი (მანტარლიანი), შაგინიანი, ოვივიანი, ანტონიანი, არუთინიანი.

“დინამო”: კოტრიკაძე (ლეჟავა), ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, პეტრიაშვილი, მეტრეველი, კალოევი, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი დემჩენკო (მოსკოვი).

საიუბილეო ჩემპიონატის გათამაშების ლიდერის - თბილისის “დინამოს” მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია სომხეთის სპორტის მოყვარულთა შორის. ისინი ამ დღეს დაძაბული, მწვავე მომენტებით აღსავსე შეხვედრის მოწმენი გახდნენ.

მატჩი დინამოელთა უპირატესობით დაიწყო. ისინი მასპინძლებს ჯობდნენ ყველა რგოლში. ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს “არარატის” კართან. ერთხანს მოწოდების დონეზე იყო მათევოსიანი, მცველები. დინამოელთა უპირატესობას მაინც მოჰყვა ლოგიკური შედეგი - მე-11 წუთზე ბ. სიჭინავამ წამოიწყო კომბინაცია, ბურთი გადააწოდა კალოევს, რომელმაც მარცხენა ფრთაზე გარღვევაზე გაიყვანა მესხი. ამ უკანასკნელმა კარის გასწვრივ ჩააწოდა ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ მეტრეველს, რომელმაც აღარ დააყოვნა და 10 მეტრიდან გახსნა ანგარიში.

შესვენებამდე თბილისელებს ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა, ისინი ხშირად ბომბავდნენ ერევნელთა კარს, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა. სათანადო უნდა მიეზღოთ მასპინძლებსაც. ისინი დროდადრო ახერხებდნენ და საკმაოდ მწვავედაც თბილისელთა კარის იერიშებს, რის გამო სრული დატვირთვით მუშაობდა დაცვა, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო კოტრიკაძემ. 57-ე წუთზე მასპინძლები აშკარა გოლს გადარჩნენ - მესხი გაუსხლტა თავის დარაჯს და უძლიერესი დარტყმით ბურთი გაგზავნა კარისაკენ, რომელიც ფეხებში მოხვდა მცველებს და დაბრუნდა მოედანზე. მას თავით მიწვდა კალოევი, გადააწოდა მეტრეველს, რომლის თუმცა ზუსტი, მაგრამ სუსტი დარტყმა მოიგერია მათევოსიანმა.

შეხვედრის მე-6 წუთზე ერევნელთა ერთ-ერთი იერიშის დროს კოტრიკაძემ ძნელი ბურთი აიღო, მაგრამ მასპინძელთა თავდამსხმელებმა იგი იმდენად უხეშად წააქციეს, რომ შემდგომში თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. ბურთი კი კარში შევიდა - 1:1.

დარჩენილ დროში თბილისელებმა დაკარგეს სიზუსტე. ერთგვარი უპირატესობა ერევნელთა მხარეს გადავიდა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს ერევნელებმა - 1:0.

ს. მარქარიანი.

“ლელო”, 21 აპრილი, 1963 წ.